სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება № 147 (სშ)

19 ოქტომბერი, 2015 წ.

ქ. ქუთაისი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - "ქალაქ ქუთაისის ბოტანიკური ბაღმა", შემდგომში „შემსყიდველად" წოდებულმა, მისი დირექტორის ამირან ხვადაგიანის სახით, ერთის მხრივ, მოქმედმა ბაღის წესდებისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის საფუძველზე და ინდივიდუალურმა მეწარმემ აივენგო ჩიხლაძემ (ს.კ - 33001011902) შემდგომში „მიმწოდებლად" წოდებულმა, მეორეს მხრივ, მივაღწიეთ ურთიერთშეთანხმებას და დავდეთ ეს ხელშეკრულება შემდეგზე

1. ხელშეკრულების საგანი

ბოტანიკური ბაღის "ქვედა პარკში" ჩასასვლელი ბილიკის გასწვრივ ორმხრივად ბამბუკის მოაჯირების მოწყობის სამუშაოების შესრულება. CPV კოდი **45341000** .

2. ხელშეკრულების პირობები

2.1. „შემსყიდველი" ახორციელებს ამ ხელშეკრულების 1-ლი მუხლით განსაზღვრული სამუშაოების შესყიდვას „მიმწოდებლისაგან" გამარტივებული შესყიდვის წესით, 2015 წლის საკუთარი შემოსავლების ხარჯზე და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

2.2. შესყიდული სამუშაოების ტექნიკური და ხარისხობრივი მახასიათებლები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედი სტანდარტების ნორმებს.

2.3. შესასყიდია შემდეგი სამუშაო:: ბოტანიკური ბაღის "ქვედა პარკში" ჩასასვლელი ორმხრივი დეკორატიულად გაფორმებული ბამბუკის მოაჯირის მოწყობა გამომწვარი ბამბუკის მასალით. (მოაჯირის საერთო სიგრძე-110 მ. სიმაღლე - 110 სმ.) ერთი მეტრი მოაჯირის მოწყობის ღირებულებაა 5 ლარი. შესასყიდი სამუშაოების საერთო ღირებულება შეადგენს 550 ლარს.

2.4. სამუშაოების შესრულება განხორციელდება 2015 წლის 30 ოქტომბრამდე.

2.5. სამუშაოების შესრულება განხორციელდება შემსყიდველის ადგილსამყოფელზე.

2.6. მიმწოდებელი უზრუნველყოფილი იქნება სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო მასალებით (340 მ. ბამბუკის მასალა და 30 კგ.(3 ბალონი) თხევადი პროპანი)

2.7. ხელშეკრულების ღირებულებაა 550 (ხუთასორმოცდაათი) ლარი, რაც მოიცავს სამუშაოების ღირებულებას და ყოველგვარ გადასახადებს. დღგ - ისგარეშე.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

3.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია, უზრუნველყოს "შემსყიდველისათვის" ამ ხელშეკრულების 1-ლი მუხლით განსაზღვრული სამუშაოების შესრულება და მიწოდება ამავე ხელშეკრულების 2.4 მუხლით განსაზღვრულ ვადაში.

3.2. „შემსყიდველი" აწარმოებს შესრულებული სამუშაოების ხარისხის შემოწმებას, თუ შემოწმებისას გამოვლინდა შესრულებული სამუშაოს ნაკლი ან/და წუნი, „შემსყიდველი" აფორმებს წერილობითი აქტის სახით, რომელშიც მიეთითება წუნდების დასახელება, რაოდენობა და წუნდების მიზეზი. აქტი დაუყოვნებლივ გადაეცემა „მიმწოდებელს".

3.3. შესრულებული სამუშაოს შემოწმებას ანხორციელებს და მიღება ჩაბარების აქტზე ხელს აწერს შემსყიდველის მხრიდან ბოტანიკური ბაღის სამეურნეო და ინფრასტრუქტურული განვითარების მენეჯერი გელა მშვენიერაძე. თუ შემოწმების პროცესში „შემსყიდველსა" და „მიმწოდებელს" შორის წარმოიშობა უთანხმოება, რომელიც ვერ მოგვარდება ურთიერთშეთანხმების გზით, საკითხი განიხილება ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ.

3.4. „მიმწოდებელი" ვალდებულია, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შემოწმების შედეგად გამოვლენილი ყოველგვარი წუნის ან/და დანაკლისის დაუყოვნებლივ აღმოფხვრა.

3.5. „მიმწოდებელი" ვალდებულია სამუშაოების დამთავრებისთანავე წარუდგინოს „შემსყიდველს" მიღება-ჩაბარების აქტი შესრულებული სამუშაოს დასახელების, რაოდენობისა და ღირებულების მითითებით.

3.6 „მიმწოდებელი" იძლევა შესრულებულ სამუშაოზე 12 თვიან გარანტიას მისი მიწოდების დღიდან, რაც ნიშნავს იმას, რომ თუ შესრულებული სამუშაოები ამ პერიოდში გამოავლენს წუნს, რომელიც არაა დაკავშირებული შემსყიდველის ბრალთან ან გაუფრთხილებლობასთან, მიმწოდებელი

ვალდებულია, შემსყიდველის მხრიდან შესაბამისი წერილობით შეტყობინების წარდგენიდან 3 დღის ვადაში აღმოფხვრას წუნი ან შეცვალოს ახლით ისე, რომ ამისათვის შემსყიდველს არ მოუხდეს რაიმე ხარჯის გაწევა.

3.7. „შემსყიდველი“ ვალდებულია, გადაუხადოს „მიმწოდებელს“ შესრულებული სამუშაოს ღირებულება მიღება ჩაბარების აქტის გაფორმებიდან ათი სამუშაო დღის ვადაში.

3.8. ანგარიშსწორება განხორციელდება ლარში, საბანკო გადარიცხვით (უნაღდო ანგარიშსწორებით).

4. დასკნითი დებულებები

4.1. ამ ხელშეკრულების პირობების შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში დასაშვებია მხოლოდ მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.

4.3. სამუშაოს დაგვიანებით მიწოდების შემთხვევაში შემსყიდველი გადასახდელი თანხიდან უკავებს მიმწოდებელს პირგასამტეხლოს ხელშეკრულების ღირებულების 0,2 პროცენტის ოდენობით მიწოდების ვადაგადაცილების ყოველ დღეზე.

4.4. შესრულებული სამუშაოს ღირებულების ამ ხელშეკრულების 3.7 მუხლით განსაზღვრული ვადის დარღვევის შემთხვევაში „შემსყიდველი“ უხდის „მიმწოდებელს“ პირგასამტეხლოს დროულად გადაუხდელი თანხის 0,2 %-ის ოდენობით გადახდის დაგვიანების ყოველ დღეზე.

4.5. მხარეები კისრულობენ პასუხისმგებლობას ამ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობაზე ან არასათანადოდ შესრულებაზე, გარდა ფორს-მაჟორული სიტუაციებით გამოწვეული შემთხვევებისა. სიტუაციის ფორს-მაჟორულობა ფასდება მხარეთა მიერ ერთობლივად, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში - სასამართლოს მიერ.

4.6. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ პირად, რომელთაგან ერთი ინახება „მიმწოდებელთან“ და მეორე - „შემსყიდველთან“. ხელშეკრულების ორივე პირი თანაბარი იურიდიული ძალისაა.

4.7. ხელშეკრულება ძალაში შედის 2015 წლის 19 ოქტომბრიდან და ძალაშია (გარდა 3.6 მუხლისა) 2015 წლის 15 დეკემბრამდე. ხელშეკრულება 3.6 მუხლი ძალაშია ამავე მუხლით განსაზღვრული საგარანტიო ვადის ამოწურვამდე.

5. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

„შემსყიდველი“

არასამეწარმეო, (არაკომერციული) იურიდიული
პირი „ქალაქ ქუთაისის ბოტანიკური ბაღი

გადასახადების გადამხდელის საიდენტიფიკაციო
ნომერი 412688426

ქუთაისი, ლესელიძის ქუჩა N 2.

ტელ. (0431) 24 50 79, 593 30 49 27

საბანკო ანგარიში:
მიმღების ბანკი- სახელმწიფო ხაზინა
მიმღების დასახელება - ხაზინის ერთიანი
ანგარიში
ბანკის კოდი - TRESGE22
მიმღების ანგარიშის კოდი - 7 4293 7519

„მიმწოდებელი“

ინდივიდუალური მეწარმე აივენგო ჩიხლაძე

გადასახადების გადამხდელის საიდენტიფიკაციო
ნომერი 33001011902

ოზურგეთი, ს.,ძიმითი

ტელ. 557944671

საბანკო ანგარიში

№ GE63VT0500000055523602

ს.ს. „ვითიბი ბანკი ჯორჯია“

(კოდი UGEBGE22)

ი/მ

დირექტორი: ზმირან ხვადაგიანი

აივენგო ჩიხლაძე